№ 227 ოქტომბერი 21, სამშაბათი 1886 ოქტომბერი 21 სამშაბათი № 227

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და კრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 22 ღვინობისთვეს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ცოლი-მეუღლე

დრამა 5 მოქმედებად, ა. მოჩხუბარიძისა (აზრი რუსულიდამ)

მოთამაშენნი: ქქ. გაბუნია, საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი და აწყურელი.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 20 ოქტომბერი

შარშან ენკენისთვეში ბოლგარიამ ისე მოულოდნელად ფილიპოპოლის აშლილობა მოახდინა, როგორადაც წელს აგვისტოს ალექსანდრე მთავრის გადაყენება ტახტიდამ. ფილიპოპოლის აშლილობა იმაზედ მიიმართა, რომ აღმოსავლეთ რუმელია და ბოლგარიის სამთავრო, როგორც ერთისა და იმავე სისხლისა და ხორცის თვის-ტომნი, შეერთებულიყვნენ სამუდამოდ და ერთი განუყოფელი სამთავრო შეედგინათ. აღმოსავლეთ-რუმელია ამ უკანასკნელ ომების შემდეგ ბერლინის ხელ-შეკრულობამ მაინც დამარცხებულს ოსმალოს დაუტევა, როგორც მისი ყოფილი პროვინცია და მარტო ბოლგარია ჩამოაცალა და ცალკე სამთავროდ შეჰქმნა. ამ სახით თითქმის შუა განაპო ევროპამ ერთი და იგივე ბოლგარია. ბოლგარიამ ეს ვერ აიტანა და ფილიპოპოლის აშლილობა ამის გამო მოხდა. ამ აშლილობამ თავის დროს მეტად შეაძრწუნა ევროპა, ეგონათ, რომ აქ აფეთქებული საქმე ნაბერწკლებს შორს გადისვრის და ევროპას არევ-დარევსო. კინაღამ ასეც არ მოხდა, მაგრამ ეს განსაცდელიანი საქმე დიპლომატიამ ჩაიგდო ხელში, იქით ატრიალა, აქედ ატრიალა და ბოლოს ხომ ისე გაათავა, რომ ბოლგარიის მთავარი უნდა განაგებდეს გენერალ-გუბერნატორის სახელით აღმოსავლეთ რუმელიასაო. ამ სახით არც ოსმალებს გამოსწირა, არც შეარჩინა და არც ბოლგარიას მისცა და არც ხელი აალებინა; ორივესათვის რუმელია იყო კიდეც და არც იყო. ბოლგარებს ეს ვერ იამათ, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდათ იყაბულეს და ალექსანდრე მთავარი გახდა აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ-გუბერნატორადაც. რა გვარ უნდა განგებულიყო აღმოსავლეთ რუმელია, ამაზედ ცალკე უნდა მორიგებულიყვნენ ალექსანდრე მთავარი და ოსმალეთი. მინამ საქმე მოსარიგებლად მოლაპარაკებაზედ მივარდებოდა, ალექსანდრე მთავარმა არც აცივა არც აცხელა, აიღო და ყოველის ფრით გაიერთა რუმელია, ჯარით, სამოქალაქო წყობილებით, მართველობით, ესე იგი, საერთო ჯარი შეჰქმნა, ბოლგარიის მოხელეობა მოაწყო, ბოლგარიის კანონები, ბოლგარიის მართველობა შეიტანა რუმელიაში.

ამ სახით რუმელია საქმით თავის სამთავროდ გაჰხადა, თუმცა სახელით კი ოსმალოს პროვინციად ითვლებოდა და ითვლება დღესაც დიპლომატების თვალში. ალექსანდრე მთავარი მერე ხომ გადააყენეს კიდეც, შესდგა იგი რეგენტობა, რომელიც დღეს მოქმედებს ბოლგარიაში და დღესაც იგი რეგენტობა და ერთობ მთავრობა ბოლგარიისა ისე უყურებს რუმელიას, როგორც ბოლგარიასთან გაერთებულს საკუთრებას. რომ ეს სწორედ ასეა, იქიდამა სჩანს, რომ ბოლგარიის მთავრობამ დიდ საერო კრებისათვის თვით რუმელიაც მოიწვია, როგორც კუთვნილი ნაწილი სამთავროსი. დღეს დიდ საერო კრებისათვის, რომელმაც ერთობ ბოლგარიის მეტად მძიმე საქმენი ასე თუ ისე უნდა გადასწყვიტოს, რუმელიამაც ამოირჩია თავის მხრით დეპუტატები.

ამ სახით, სახელი რუმელიის პატრონისა ოსმალოს შერჩა და თვით პატრონობა კი ბოლგარიამ გაისაკუთრა და მიითვისა. შემდეგისაგან ვცნობთ ამ გარემოებამ რა ბოლო მოიქნია და რა რიგად ორ-წყალ-შუა ჩააყენა საქმე.

დიდი საერო კრება ამ დღეებში შესდგება ტირნოვოში, როგორც გვ'არწმუნებენ დეპეშები. ბოლგარიის მთავრობას კრებისათვის დაუნიშნავს 19-ი ღვინობის თთვე. რეგენტები და მინისტრები უკვე წასულან კიდეც ტირნოვოს და დეპუტატნიც იკრიბებიან თურმე. ეხლა მთელი გულის ტკივილი ბოლგარიის რეგენტებისა და მინისტრებისა იმაზეა მიქცეული: დაესწრობიან კრებაზედ დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, თუ არა. ამ ამბავს, რომელსაც პირველ შეხედვით, ვითომ მაგდენი არაფერი შეუძლიან მოახდინოს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლგარიის ეხლანდელ მდგომარეობისათვის და მის მერმისისათვისაც, თუ ცოტაოდნად დავუკვირდებით. რეგენტები და მინისტრები ბოლგარიისა მეტად ჰშიშობენ, ვაი თუ აწ მოწვეული დიდი საერო კრება კანონიერად არ იცნონო და ამოდენა გარჯამ და მეცადინეობამ, ამ არჩევანების ყაყალმაყალმა სულ უქმად ჩაგვიაროსო. რუსეთმა დიდი ხანია გამოაცხადა, რომ დიდ საერო კრებისათვის დეპუტატთა არჩევანი ძალ-მომრეობით მოახდინა ბოლგარიის მთავრობამაო, ბოლგარიის ერს ყოველივე გზა შეუკრა და დაუხლართა, რომ თავის ნებაზედ არ ამოერჩივა დეპუტატებიო; გზა გახსნილი ჰქონდათ მარტო იმათა, ვინც ბოლგარიის ეხლანდელ რეგენტების და მინისტრების საამურს კაცებს ამოარჩევდა და ამიტომაც ეხლანდელი დეპუტატები დიდ საერო კრებისანი, როგორც ძალით ამორჩეულნი, კანონიერს კრებას ვერ შეადგენენ და ბოლგარიის ჭეშმარიტს სურვილს ვერ წარმოადგენენო. ყოველ ამ მიზეზით რუსეთმა გამოაცხადა, რომ ამ ჟამად მოწვეულს კრებას თავის დღეში კანონიერად ვერ იცნობს და ვერც შეიწყნარებს. ოსმალოც არა ჰყაბულობს ეხლანდელს კრებას და მიზეზად ეხლანდელის კრების უკანონობისა სულ სხვა საგანი წამოაყენა: რუმელია ჩემი პროვინცია არისო და რა საბუთი მიუძღვოდა ბოლგარიის ეხლანდელს მთავრობასა, რომ ჩემი საკუთარი ქვეშევრდომნი მიიწვია ბოლგარიის საქმეებში მონაწილეობის მისაღებადაო? ვიდრე ჩემი ქვეშევრდომნი არ დაეთხოვებიან ბოლგარიის საქმეებსა, იმ დრომდე თვით კრებაც უკანონოა და მათის მონაწილეობით დადგენილი განაჩენიც უქმი და ჩემ მიერ არ შესაწყნარებელიაო.

ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, რად ჰზრუნვენ ასე ძლიერად, რად ჰცდილობენ ასეთის თავ-გამოდებით ეხლანდელნი გამგებელნი ბოლგარიის ბედისა, რომ დიდ საერო კრებაზედ დაესწრნენ დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. თუ ისინი კრებაზე დაესწრებიან—ეგ იმისი მომასწავებელი იქნება, რომ სახელმწიფოებმა კრება კანონიერად იცნეს და ამის გამო ღირს-ჰყვეს თვისი წარმომადგენელნი კრებაზედ იყოლიონ. რეგენტებს და მინისტრებს ჯერ ხანად ამაზედ მეტი არა უნდათ-რა. რუსეთი, რასაკვირველია, არას დროს არ გაჰგზავნის თავის წარმომადგენელს იმისთანა კრებაზედ, რომელსაც უკანონოდა ჰხადის, აგრეთვე ოსმალოც. დანარჩენ სახელმწიფოებზედ კი სხვადა-სხვა ნაირად ჰლაპარაკობენ გაზეთები და გადაწყვეტილად კი არა ისმის-რა. ძალიან საფიქრებელი

ფელეტონი

სიმღერა

მთაო, შე შაუპოვარო,
რამ რა გაგხადა მტერადა,—
დაჰყურებ ჭმუნვით ქვეყანას
გადაქცეული ცქერადა?!

ის აღარა ხარ, ბიძაო,
რაც გინახივარ მკელადა,
მე ქვეყანაში მოვდივარ,
როგორც ბალახი ღერადა.

ვერც პურს ვსჭამ მოსვენებითა,
ვეღარც დავმჯდარვარ მღერადა
შენ მე მიყურებ, მე—შენა,
ორნივე გავხდით მტერადა!

ვაჟა-ფშაველა

1896 წ.

ჭინკობის თთვე იმერეთში.

I

როგორც საზოგადოდ მთელ საქართველოში, ისე კერძოდ იმერეთშიაც გავრცელებულია სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობა. ერთ ამ გვარ ცრუ-მორწმუნეობას ეკუთვნის ისიც, რასაც იმერეთში „ჭინკას“ უწოდებენ. ჭინკა, ხალხის რწმუნებით, ღვინობის თთვეში გაჩნდება ხოლმე ვითომ ქვეყნად და ამიტომ ამ თთვეს ჩვენში „ჭინკობის თთვეს“ ეძახიან. რადგან ჩვენ ეხლა სწორედ ამ „ჭინკობის თთვეში“ ვდგევართ, ამიტომ მე მსურს გავაცნო მკითხველს: რა არის და რაში მდგომარეობს ეს «ჭინკობა».

თხუთმეტს ღვინობისთთვის ღამეს, მოვა «ჭინკა» ქვეყნად (არ ვიცი საიდგან) და იქმნება აქ 7 გიორგობის თთვემდის (ნოემბრამდის). ჭინკა ხალხის წარმოდგენით არის პატარა,—სამი-ოთხის წლის ბავშვის ოდენა; თმა თავიდამ ფეხებამდე აქვს და მიწაზე დაათრევს. ჭინკა თუმცა, ამ სახით, პატარა არის, მაგრამ იმოდენა ღონე კი აქვს, რომ სახლის აწევა შეუძლიან. ჭინკის მოსვლის დროს, ე. ი. 15 ღვინობისთთვეს წვიმა მოვა ხოლმე და მაშინ იტყვიან: «ჭინკა წვიმით ჩამოვიდაო»; თუ მოსვლისას არ მოჰყვა წვიმა, მაშინ წასვლისას, ე. ი. 7 გიორგობისთთვეს მაინც იწვიმებს. ჭინკის მოსვლის ღამეს ყველაფერი უნდა „მოჭინკო“, თორემ მოუჭინკავი რაც დაგრჩება, ყველაფერს გააფუჭებს ჭინკა: ღვინოს მორყვნის და გააწყალებს, ტანისამოსს დასჭრის, საქონელს დააზიანებს და სხვა და სხვა. როგორ უნდა „მოჭინკო“, ანუ რას ჰქვიან «მოჭინკვა»? აი რასა: აიღებენ პატარა ქვას, ანუ თიხის ნატეხს, გაფხაჭნენ ზედ ჯვარედინად, მერე ამ ქვას ანუ თიხას ერთს «ქურის თავებზე» *) გადააგდებენ, ან ბოსელში შეაგდებენ, ზოგს ტანისამოსზე დაადებენ და ამ დროს თან ამბობენ: «წმინდა გიორგის ბეჭედია». სადაც კი იქნება ამ ნაირი ქვა, ანუ თიხა, იქ ჭინკა ველარ მიეკარება და ველარ გააფუჭებსო.

15 ღვინობისთთვიდამ 7 გიორგობის თთვემდის თუ დაიბადა ვინმე, ახლად დაბადებულს უსათუოდ გიორგი ანუ მარიამი უნდა დაარქვან, თორემ უამისოდ ყოველ ღამე ჭინკა მოვა ახლად დაბადებულთან და დაუძახებს სახელსა. იმდენს შეუჩნდება, რომ ბოლოს როგორც იქმნება შეაცდენს, გამოიტყუილებს გარედ, წაიყვანს სადმე კლდეში და მოაქცევს თავის რჯულზე. გიორგი ანუ მარიამი თუ ჰქვიან იმ თთვეში დაბადებულს, ჭინკა ველარ გაიტყუილებს, იმიტომ-რომ ამ სახელებისა ძრიელ ეშინიან და დაძახებას ვერ გაჰბედავს. ჭინკასთან რომ გიორგის ანუ მარიამის სახელი ახსენო, იგი მაშინვე ძირს დაეცემა და აღარაფერი აღარ შეეძლება,—რაც გინდა მოუხერხე მაშინ, ჭინკა ველარ გაინძრევა. ხალხი ბევრს მაგალითს მოგვითხრობს, როდესაც ჭინკისაგან წაყვანილი გიორგის სახელის წამოთქმას დაუხსნია. ერთი ამისთანა მაგალითი მოგვყავს აქ მკითხველების საყურადღებოდ.

„იყო ერთი ქალი, რომელიც ამ ცოტა ხანში მოკვდა. ეს ქალი ჭინკობის თთვეში იყო დაბადებული და სახელად კი სალომე ერქვა. ქალს ჭინკა მოსვენებას არ აძლევდა, ყოველ ჭინკობის თთვეში მოდიოდა და ეძახოდა: „სალომე, აქ გამოდი, რა გაჩვენოვო.“ სალომე ყოველთვის თავს იკავებდა და ჭინკის დაძახებაზე გარეთ არ გამოდიოდა. მაგრამ ერთხელ, როდესაც სალომეს ეძინა, დაუძახა ჭინკამ; სალომე ერთბაშად წამოვარდა ზეზე და გაეიდა გარეთ. აქ ჭინკა დაჰხვდა და უთხრა: „ან მკიტე და ან გკიტებო“, ე. ი. ან მომეკიდე ზურგზედ და ან მოგეკიდებიო. ჭინკამ ბევრი აღარ დააცალა ქალსა, მოიკიდა ზურგზე და გააქანა კლდეებისაკენ. ატარა, ატარა დიდხანს ჭინკამ სალომეი და ბოლოს ერთ დიდს კლდეში შეიყვანა, სადაც ჭინკებს ლხინი ჰქონდათ. დაინახეს თუ არა ჭინკებმა სალომეი, ყველამ ერთ-ხმად იკივლეს: „უი, ჩვენი სალომე მოვიდაო“, გამოეგებნენ და შეიყვანეს შინ. შემდეგ ჭინკებმა ფერხული დააბეს და სალომეც შიგ ჩააყენეს, ხოლო ეს კი უთხრეს წინათვე: «ცუდი არაფერი სთქვა»,

---

*) იმერეთში ქურის თავებს ეძახიან იმ ადგილს, სადაც ქვევრები მარხია.

საქმე კი აუჩნდათ. სხვა რომ არა იყოს-რა, ოსმალოსაგან წამოყენებულს საბუთს ადვილად ვერ მოიწონებენ. თვითონ დიდმა სახელმწიფოებმა დააკუთნეს რუმელია ოსმალეთსა, თვითონ დიდმა სახელმწიფოებმა რუმელიის პატრონად ოსმალოვე აღიარეს ფილიპოპოლის აშლილობის შემდეგ, ბოლგარიის და რუმელიის გაერთება უარ-ჰყვეს და ეხლა როგორღა უნდა იცნონ კანონიერად იგი კრება, რომელიც ბოლგარიას და რუმელიას შეერთებულად წარმოადგენს ქვეყნის წინაშე?.. მაგრამ დიპლომატია დიდი ოსტატი რამ არის; იგი მეჭურჭლესა ჰგავს და საითაც ჰსურს, ყურს იქით გამოაბამს. თუ მოიწადინა, გაძვრება-გამოძვრება და აქაც მოახერხებს რასმე. დღეს-ხვალ ყველაფერი გამომჟღავნდება.

ახალი ამბავი

*** ხვალ, ოთხშაბათს, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება ხუთმოქმედებიანი დრამა «ცოლი-მეუღლე», გადმოკეთებული რუსულიდამ ა. მოჩხუბარიძისაგან. რუსულად ამ პიესას ჰქვიან «подруга жизни», დაწერილია ახალგაზდა, უდროოდ გარდაცვლილ მწერლისაგან, გვარად ფროლოვისაგან და ოცი წლიწადია რუსულ რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს. უმთავრესს როლს (გიორგი ბედკრულაძე) აასრულებს ბ-ნი ალექსეევ-მესხიევი, რომელსაც ამ სეზონში ჯერ არა ჰქონია შემთხვევა საკმაოდ გამოეჩინა თავისი დრამატიული ნიჭი. დანარჩენ როლებს აასრულებენ ქქ. საფაროვი-აბაშიძისა (თითონ ცოლი-მეუღლე), გაბუნია-ცაგარლისა (ღენერალშა), ლეონიძისა (გიორგის დედა) და ბ-ნი აბაშიძე (გიორგის მეგობარი).

*** ამ ცოტა ხანში ტფილისის სასულ. სემინარიაში დაბრუნდა უკანვე სამი შეგირდი, რომელთაც შარშან თავის ნებით დაანებეს სწავლას თავი. ეგზემენები კარგად დაიჭირეს და ამიტომ მიუღიათ იმის შემდეგ კლასებში, რომელშიაც შარშან იყვნენ. ამათ გარდა ზოგიერთი სხვებიც აპირებენ უკანვე დაბრუნებას.

*** ტფილისში ამ ჟამად ვერაფერი ამინდები დაიჭირა. წვიმა მოდის და წვიმას თან თოვლიც მოსდევს. ქუჩები საშინლად ატალახიანდა. ტფილისის გარეშემო მთებზედ უკვე თოვლი დასდო.

*** ფოთიდამ გვწერენ, რომ აქაურ მედუქნეებს აუარებელი ცარიელი ბოჩკები და ყუთები უყრიათ კარ-წინ ქუჩაშიო. კაცი ისე ვერ გაივლის დუქნების წინ, რომ ან ტანისამოსი არ დაიხიოს რკინის სალტებიანსა და დალურსმულს ყუთებზედ, ან და ფეხი არ წამოჰკრას და ტალახში არ გადავარდესო.

*** დუშეთის მაზრითგან გვწერენ, რომ 15 ოქტომბერს გამოატარეს აქეთ საკატორღოდ განწესებულნი სოფ. გველეთში მცხოვრებელი ქისტი ბაი-სოლთან გაზიგოვი და იმისი ამხანაგი, რომელთაც დაჰბრალდათ ფოსტის გაცარცვა ტფილისსა და მცხეთის შუა შარშან აგვისტოში. ტუსაღები დიდის სიფრთხილით გაატარეს შეიარაღებულმა ჯარის კაცებმა და ურიადნიკმა ფ—მა თავის ჩაფრებითაო. ეტყობა ტუსაღების გაქცევამ ფასანაურიდამ დააშინა ჩვენი საეტაპო მოხელეობა, რომ ახლა ასეთის სიფრთხილით იქცევიანო.

*** 18 ოქტომბერს, შაბათს დილით, იარმუკაზე, როგორც გაზ. «კავკაზი» ამბობს, შემდეგი უბედური შემთხვევა მომხდარა: ერთს ყასაბს დიდის ყასბურის დანით რამდენსამე ალაგას დაუჭრია ჩხუბში მწვანილის გამსყიდველი ტფილელი კაცი. პოლიციამ დაჭრილი კაცი მაშინვე საავად-მყოფოში თურმე გაჰგზავნა, ხოლო ყასაბი შეიპყროვო და საქმე გარდასცა გამომძიებელსაო.

*** ამ ჟამად ტფილისის საავადმყოფოში ბევრია ისეთი ავად-მყოფი, რომელთაც მეტად ადვილად გადამდები სნეულება სჭირთო, ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზ.“

*** გაზ. „კავკაზი“-ს სიტყვით, ალბულაღისკენ ვიღაც თათარს დამბაჩა დაუხლია ერთის ახალ-გაზდა ქართველის კაცისათვის, რომელიც დიაკვანი აღმოჩნდა სოფ. გუნგულისა კახეთიდამაო. საცოდავი დიაკვანი გზად თურმე მიდიოდა ცხენით,· ჩამოხტა ერთს ალაგას და ცხენი ბალახზე გაუშვა. როცა ცხენს ბორკილს უკეთებდა, მიეპარა ვიღაც თათარი, დაუმიზნა დამბაჩა და ცხენის წართმევა დაუპირაო. შე ულმერთო, უთხრა თურმე დიაკვანმა თათარსა,—ცხენსაც მართმევ და კიდევაცა მკლავო? თათარმა დამბაჩა ძირს ჩამოიღო და ცხენს დაუწყო პოტინი. ამ დროს დიაკვანმა ჰკრა ხელი თათარს და ძირს დასცაო. გაჯავრებული თათარი წამოხტა, ესროლა დამბაჩა დიაკვანს და ძუძუში მოარტყა ტყვიაო. დაჭრილი მოიყვანეს ალბულაღში, სადაც ექიმმა ხოითკევიჩმა ტყვია ამოაცალა მარჯვენა ბეჭის ფთის ახლოვო. თვით დამნაშავეც მალე იპოვეს და დააპატიმრესო.

*** განჯის გუბერნატორის, გენერალ-მაიორის ნაკაშიძის თაოსნობით განჯაში გაუმართავთ განსაკუთრებით ღარიბებისათვის უფასო სამუსიკო სკოლა. შეგირდების რიცხვი სულ 30 იქმნებაო. შეგირდებს ასწავლიან სხვა საგნებსაცაო. („ნოვ. ობოზ.“)

*** ზემოხსენებულივე გაზეთი ამბობს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზას 8 მილლიონის მან. შემოსავლის იმედი აქვს მერმისსაო. ამ ფულიდამ ხარჯს მოუნდება მხოლოდ 6 მილლიონიო. დანარჩენი ორი მილლიონი მოუნდება მმართველობის წევრთა ჯამაგირებსა და სხვა-და-სხვა სავალდებულო ხარჯსაო, როგორც მაგალითად სარკინის-გზო სკოლას, რკინის გზის ინსპექციასაო.

*** გუშინ საღამოს კავკასიის მთავარ-მართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი წაბძანდა იმიერ-კასპიისაკენ.

*** გაზ. „კავკაზი“ ამბობს, რომ თუმცა ტფილისის ყასბებს აკრძალული აქვთ საქალაქო გამგეობისაგან ჰხოცონ საქონელი სხვაგან სადმე გარდა ნავთლუხისაო, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან და ცხვარსა ჰხოცვენ თავიანთ დუქნებში და ან დუქნებ ქვეშ სარდაფებშიო. ასე იქცევიან ყასბები იარმუკაზედაც და თათრის მეიდანზედაცაო. სასურველი იქმნებოდა, რომ მიექციათ ამ გარემოებისათვის ყურადღებაო. ამ გვარ დუქნებში მუდამ საშინელი ბინძურობაა და საძაგელი ავი სუნი ტრიალებსო.

*** ამას წინად ერთი სპარსელი ჰაჯი-სეიდი წავიდა თურმე ტფილისიდამ ბაქოში და თავისი ფული და ნივთები საბანში გაახვია და ისე შეინახა. როცა ბაქოში მივიდა, რკინის გზის სადგურზე დაუძახა მოსამსახურეს, მისცა თავისი საბანში შეკრული ბარგი და გაჰყვა თავადაც. მაგრამ მოსამსახურე უცებ მიიმალა და სადღაც გადიკარგა. სპარსელს ბარგში ბლომადა ჰქონოდა ფული და აგრეთვე ძვირფასი თვალ-მარგალიტი. ტფილისში მითხრესო, სთქვა თურმე მან, რომ ფულსა და ძვირფასს თვლებს ჯიბეში ნუ შეინახავ, უბრალო ბარგში შეინახე და უფრო აღარ დაგეკარგებაო. მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ უბედურება მაინც არ ამცდაო. ეხლა, როგორც ამბობს გაზ. «კასპი», იმ სპარსელის ნივთების ქურდები უკვე აღმოჩენილან. სულ სამნი არიან, სამივე მოსლემინებიო.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ამ მოკლე ხანში ბაქოს სასამართლოში მეტად საინტერესო საქმეს გაარჩევენო. ეს საქმე ის არის, რომ ვიღაც სომეხმა ერთს მოსლემინს მიჰყიდა თავისი ცოლიო.

*** ამას წინად ბაქოს მცხოვრებელთ ითხოვეს, რომ რკინის გზამ დაუკლოს ფასი, როგორც საქონლისა გადასატან-გადმოსატანი, ისე ხალხის გადასაყვან-გადმოსაყვანი ტფილისსა და ბაქოს შუაო. ეხლა გაზ. «ნოვ. ობოზ.» ამბობს, რომ ამასვე ითხოვენ ის ტფილისელებიც, რომელთაც უფრო განსაკუთრებით ბაქოსთანა აქვთ საქმეო.

დამაკვირდი!

ზნეობა და განათლება, განათლება და ზნეობა ერთმანეთსა ჰშველიან.

(დე სტაელ)

**

თავის დღეში სხვას ნუ სთხოვთ იმასა, რის შოვნაც თვითონ შეგიძლიანთ.

(ავლუ-გელლი)

**

უფრო სასახელოა კაცმა თავისი გვარეულობა ასახელოს, ვიდრე სახელოვანის გვარეულობით თავს იწონებდეს.

(სალლუსტიუსი)

**

ვინ მზასა სძულობს, სჯულსა და
განეშორება მცნებასა,
ვინ საზრდე უგოს მოყვასსა,
შთავარდეს დიდსა ვნებასა.

(ანრიელ შეფფ)

**

ავი ქალი ნუმც მინახავს,
გულსა სევდის შემომყრელი,
რაგინდ მზისა დარი იყოს,
ასპიტია გესლთა მყრელი.

(მეფე ვახტანგ VI)

**

მე ეს ხიდი სავლელად
დიდ სწორედ გავდეო,
შენ თუ მრუდად გაივლი,
მე რა წყალში ვარდეო.

(დ. გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

წინა-მხარი. ბოდიშს ვიხდი თქვენთანა, მკითხველო, რომ ჩემს ნაწერში ახალს ვერაფერსა ჰნახავთ,—აქ ამოიკითხავთ ისევ იმას, რაც არა ერთხელ თქმულა ჩვენზე წინად კორრესპონდენტებისაგან სხვა-და-სხვა დროს. მაგრამ აქაო და თქმულაო,

---

ე. ი. წმინდა გიორგის, ანუ მარიამის ახელი არ ახსენოვო. ყველამ სათითაოდ თითო ლექსი იმღერა. ბოლოს ჯერი სალომეზედ მიდგა. სალომემ დაიწყო სიმღერით ლექსი.

„ეს ლექსი დიდი ყოფილა, როგორც ამბობენ, მაგრამ სამწუხაროდ დღეს ეს ლექსი დავიწყებულია და თუმცა ბევრს გამოვკითხე, მაგრამ აღარავის აღარ ახსოვს კარგად და მხოლოდ ორ-ორი სიტყვა-ღა იციან კიდევ. სალომეს ლექსი ასე თავდებოდა თურმე:

„წმინდა გიორგი დასწყევლე
ამ ჭინკების ფერხისაო...“

„ამის თქმა და ჭინკების უგრძნობლად დაცვინვა ერთი იქმნა. სალომე ადგა და წამოვიდა შინ.“

II

ეს თთვე სრულიად ჭინკებისაა. რასაც კი გააკეთებ ამ თთვეში, ყველაფერში ნაწილი უნდა დაუდვა ჭინკას, თორემ მაშინვე გააფუჭებს. მაგალითად: შალს თუ მოქსოვენ ამ თთვეში, გათავების ანუ დაწყების დროს პატარას მიაქსოვენ გვერდში და იტყვიან: „ეს ჭინკის ნაწილიო“. თუ ასე არა ჰქმნა მომქსოვმა, მაშინ ჭინკა დაკვეცავს და გააფუჭებს შალს. წინდა თუ მოქსოვეს, ჭინკისთვისაც მოქსოვენ პატარა წინდას, იმოდენას, რომ კაცს ნეკზე არ წამოეტევა. ჭინკის წინდას გარეთ დაჰდებენ ხოლმე ღამე; მოვა ჭინკა, წინდას ჩაიცვამს, პატრონს დაუმადლებს და წავა. და თუ არ მოუქსოვეს, მაშინ მოვა ჭინკა და დაუძახებს მომქსოველს ჯერ სახელს და მერე:

„წინდა მომე წინდუკიო,
თორემ მოვალ შეგტრუკნიო.“

მაშინ მომქსოველი, თუ ჯერ მოქსოვილი არა აქვს, უნდა შეჰპირდეს, რომ მოგიქსოვო და თუ მზადა აქვს, ჯოხზე წამოაცვამს, გაუყოფს სარკმელში, ჭინკა თვითონ წამოაძრობს ჯოხიდამ და წაიღებს. დიდი წინდა რომ შეაძლიოს, ჭინკა ხელს არ მოჰკიდებს: „მე ეგ კი არა, ჩემი «პაწუა» (პაწია) წინდა მინდაო.“ ჭინკის დაძახებას ვერავინ ვერ გაიგონებს გარდა იმისა, ვისაც ეძახის.

ჭინკას ძალიან უყვარს ცხენთან თამაში. ღამე შეჯდება მინდორში გაშვებულ ცხენზე და დააჭენებს. ბოლოს ფაფარს გამოუქსოვს იმ ნაირად, რომ კაცს არ შეუძლიან იმის გამოხსნა. ამ ნაირი გამოქსოვილი ფაფარი ცხენისა მეც მაჩვენეს. მართლაც გასაკვირველი იყო, მე ვერას გზით ვერ გამოვხსენი იგი. თავიდგან ბოლომდის სულ ბეწვეულად იყო ჩაქსოვილი და თუ მოსჭრიდი, თორემ მისი გამოხსნა შეუძლებელი იყო. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის კაცისაგან ყოფილიყოს, — სასწაულთ-მომქმედი რომ იყოს კაცი, მგონი მაშინაც ვერ შეიძლოს ამ ნაირი დაწვნა ფაფარისა. ვინ იცის, შეიძლება მართლა რაიმე ბუნების მოვლენა იყოს, რომელიც ეგრე ჰკვანჯავს ფაფარს ან და შეიძლება თვითონ ცხენს ჰქონდეს სხვა ნაირი სხეული და მისი ძალით იკვანჭებოდეს იგი ამ დროს. ასეა თუ ისე, ხალხს მაინც მტკიცედა სწამს, რომ ეს ჭინკისაგან არისო.

როგორც ზევითა ვსთქვით, ამ დახვლანჭულ ფაფრის გამოხსნა შეუძლებელია კაცისთვის და შემდეგში კი თავის-თავად გამოიხსნება ხოლმე.

ხალხის აზრით, ჭინკის დაჭერაც კი შეიძლება. თუ როგორმე იგდე ხელში, ცოტა თმა უნდა მოაკრიჭო და მინამ თმას არ მისცემ, ვერ წავა. ამის შესახებ ხალხში აი რა გამიგონია.

ერთი მღვდელი მიდიოდა თურმე ღამე ცხენით, ჭინკობის თთვეში. უეცრად უკან შემოუჯდა ვიღაც შავში. მღვდელი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ჭინკა უნდა იყოსო. ამოიღო ოლარი, შემოახვია ჭინკას და უთხრა: „აღარ გაინძრე, მაცდურო, ეს წმიდა გიორგის ბეჭედი არისო.“ ჭინკა მაშინვე გაშეშდა. შემდეგ ბევრი ემუდარა მღვდელს ჭინკა, ეხვეწებოდა, გამიშვიო, მაგრამ მღვდელმა არ გაუშვა; წამოიყვანა შინ, მოაკრიჭა თმა და ეს თმა ერთი დიდ ქვის ქვეშ დამალა. ამის შემდეგ ჭინკა ემსახურებოდა მღვდელს: უზიდავდა შეშას, წყალს და ბევრს სხვა სამსახურს უწევდა. ერთხელ მღვდელი ეკკლესიაზე წავიდა თავის სახლობითურთ. შინ დარჩნენ ორი ბავშვი და ჭინკა. ჭინკას უთხრეს: დიდი ქვაბი შემოჰკიდე და ღორი მოხარშეო, რადგან საყდრითგან ბევრი სტუმრები მოგვყვებიანო. ჭინკამ აასრულა მათი ბრძანება და შემოჰკიდა ქვაბი. როდესაც ცეცხლს გარეშემო შემოუსხდნენ, ჭინკამ უთხრა ბავშვებს: „ჩემი თმა მასწავლეთ სად არის და ბედსა გწევთო“. ბავშვები ჯერ უარზე დადგნენ, არ უნდოდათ ესწავლებინათ, მაგრამ ბოლოს ჭინკამ შეაცდინა ბავშვები დაათქმევინა, სად იყო დამალული იმისი თმები. გაიგო თუ არა ეს ჭინკამ, მიჰვარდა, გადააგორა ქვა და გამოიღო თავისი თმა. მერე ბავშვებს წამოუსვა ხელი და ორივე ადუღებულ ქვაბში ჩაჰყარა, თვითონ კი თავის გზას გაუდგა და თან ამბობდა: ჰიჲ! მიმსახურე, მაგრამ მგონი დაგიჯდინე ფასად ეგ სამსახურიო“. მოვიდა მღვდელი საყდრითგან და დაჰხედა ქვაბსა; ჯერ ეგონა, რომ ღორის ხორციაო შიგ, მაგრამ როდესაც მოხარშული ბავშვის თავი ამოიღო, ერთბაშად გული გადუბრუნდა. გაიქცა მაშინვე ქვისკენ ქვა გადაბრუნებული დაჰხედა და თმა კი აღარ იყო. ბევრი იხტუნა მღვდელმა, მაგრამ ჭინკას სადღა მიაგნებდა?...

ამ ნაირად სცხოვრობს ჭინკა ქვეყნად 7 გიორგობის თთვემდის. 7 გიორგობის თთვეს კი, მთავარ-ანგელოზობის წინა ღამეს, მოვა „მიქაელ-გაბიელ“ მთავარ ანგელოზი, „შეჰკრავს-შეჰბოჭავს“ ყველა ჭინკებს ერთად და გადაჰყრის წყალში. ამას ხალხი ეძახის „მიფირჩხაო“, ე. ი. ფარჩხი მოუსვა და გადაჰყარა წყალშიაო.

ჭ. მაღრაძე

განა აღარ უნდა გავიხსენოთ ხოლმე, თუ ვხედავთ, რომ რომელსამე საგანს დავიწყებას აძლევენ და ჯეროვანი, სასურველი აგებულება ჯეროვნობით ვერ მიუღია? რა ვუყოთ თუ მოსაწყენი იქნება?! ცხოვრებაზე ზრუნვა სულ მოსაწყენია, მაშ სრულიად უარ-ვყოთ ცხოვრება? ვინც რა უნდა სთქვას, როგორც უნდა მიიღოს, და მე კი ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი... მაგრამ ნუ გეგონებათ კი, რომ ასრე საჩქაროდ ახდება ჩემი სურვილი... „Желанія! Что пользы напрасно и вѣчно желать?..“

რაღა შევაქო ჩვენი სამშობლოს სიკეკლუცე—ის საკმაოდ ნაქებია ჩვენის, თუ რუსების პოეტებისაგან.

„რა მშვენიერი რამა ხარ,
შენი ჭირიმე კახეთო;
გული ვერ მამიჯერებია
შენის ცქერით, ლამაზო, და სხვა...“

ახლა გავყვეთ ფრინველთ მეფე არწივს, ავიდეთ ღრუბლების ზევით და გადმოვაცქერდეთ იქითგან ამ ლამაზსა,—რასა ვნახავთ!..

და დავემდურნეთ ვაჭრებს, რომ საზოგადო საქმეში გულ-გრილობას იჩენენო, როდესაც თავიანთ თავიც აღარ ახსოვთ, ან კიდევ, რომ საქვეყნო საქმე, კეთილი განზრახვა, იმათ ხელში თავს ვერ იჭერს და მალე, დილის რთვილივით, გაწყალდება ხოლმეო. თუ იმათ ვერ დავემდურებით, განა დასამდურებელია სრულიად უვიცი და გაუთლელი გლეხი ამ ნაირსავე საქმე ქცევაში?

* * *

ახლა შეხედეთ კი ამის გამო რა მდგომარეობაა ეხლა ზოგიერთს ადგილას კერძოდ კახეთ-კუხეთში!! მგონია, ეს უნდა იყოს მიზეზი ჩემგან ნანახ სიზმრისა. ვითომ სს. ვეჯინ-გურჯაანს (ეს სოფლები 12 ვერსის სიშორეზეა ქ. სიღნაღითგან დასავლეთის მხრივ, ალაზნისაკენ ჩაწვდილ ცივ გომბორის კალთებზე), შემოჰსევიყო მაზარის ვაჭრები(ასე სთქვეს, სამხრეთითგან,არაქსის ნაპირებითგან მოვიდაო), ადამიანებს არ ერჩოდა, ოღონდ-კი სასმელსაჭმელი საკმაოდ ეძლიათ. ხალხი კაი პურ-ღვინის მოსავლის გამო გულ მაგრა იყო... მოჰქონდა ფქვილი, თუ საფქვავი, ურმებით ტკბილებს ეზიდებოდა და აყრიდ-ასხამდა პირში... მე ცივ გომბორის წვერზე ავიჭერ და მუნითგან ვუცქეროდი...

მითხრეს: — ჩვენ მამა-პაპას მაგათ ნათესავებისა რაღაც ვალები ჰმართებიათ და რომ ვერაფერს გამოჰრჩომიან და არც არაფერი მიუციათ ეხლა ეგ ვაჭრები გამოუგზავნიათ. რასაც ეგ შეჰსვამს და შეჰჭამს, ვითომ იმათთვის გადაგვიხდია. ტკბილ-მაჭარს ორ-აბაზად, ათ-შაურად იღებს; კოდ პურს ოთხ-აბაზად, მანათად, ქერს ორ-აბაზად — ათ-შაურადა. ნეტავი შეგვეძლოს, რომ ჩვენც ისე ვაფასოთ ჩვენი პურ-ღვინო, როგორც ეგენი ფულის სარგებლის შემოწერაში არიან...

* * *

ამ გვარ მოვლენის ასაცილებლად ბევრ ნაირი საშუალებაა გამოგონილი და სხვათა შორის ბანკები და დეპოები. მაგრამ ამათ წარმატებას და აყვავებას დიდი თავ-განწირულებით და ნამუსით შეჭურვილი მოღვაწეებიც უნდა, თორემ ასე მოგახსენებ, გურჯაანში ბანკი იყოვო, მაგრამ რაღაც გარდანქეშან-ჰაიარის თილისმით ხელითგან გაჰფრენიათ და კიდევ როდისმე დაუბრუნდებათ თუ არა, ამაზედ თვად იმის «დამზოგველ შემნახველ ამხანაგობის» წევრთ და თავს-მჯდომარემ გიპასუხონ.. მაგრამ რა ამათი საქმეა ამისთანაებში ჩამოღალვა? განა საკმაო არ არის გვარიშვილობით და „ევროპიზმით“ ჰრანჭვა-მედიდურობა და სახლში თუ გარეთ თუ გურჯაანში ბანკი ჰქონიათ (და რა ვუყოთ, რომ დღეს აღარა აქვსთ?), ვეჯინში სამაგიეროდ პურის მაღაზიაა; ჰყავთ აგრეთვე ზედა-მხედველები, ღვთის წინაშე ძლიერ სინიდისიერი კაცები; ცოტა ეს აქვთ ნაკლულევანება, რომ მეხსიერება არ უვარგათ: ხან ორ ლიტრას ვისგანმე წანაღებს ორ კოდად სწერენ და უკვე შემოტანილი ვისგანმე ხშირად მოუშლელი ჰრჩებათ სიაში. მაგრამ ვისთვის არის ეს სასარგებლო?—რასაკვირველია, იმათ თანამოძმეებისათვის, რადგანაც პური გაუმბევრდებათ ბეღელში და უფრო გაჭირვებაში გამოადგებათ!..

* * *

მე ზევით თუმცა აშკარად არა, მაგრამ გაკვრით კი ვსთქვი, რომ ვეჯინელები პურ-ღვინის მიმღევარი ხალხია. ამ ბოლოს დროს თამბაქოს თესვაც დაიწყეს. თამბაქოს მწარმოებელნი სულ სიღნაღის მოვაჭრეებია. ხელობა ძლიერ გამოსავლიანია და ამიტომ ვეჯინის ბოლოს მინდორი სულ სავსეა თამბაქოთი. თუ თამბაქოს პატრონები სიღნაღლებია, მკეთები კიდევ ვეჯინელებია,—უფრო დიაც-ყმაწვილი. დაიძახებს თუ არა მამალი განთიადისას, ფუტკრის მართვესავით გამოიშლებიან მუშები და პურებით იღლიებში მიემგზავრებიან სათამბაქოებისაკენ; მუშაობენ დღეში ორ-შაურად — შაურად.. მერე რამდენი უშვერი სიტყვები უნდა იკადრონ ხოლმე ხმა ამოუღებლივ მეთამბაქოებისაგან! და მიიღებენ კი ამ დღიურ სასყიდელს (ზნეობის გარყვნა და დაავადება—სხვაა.) თავის დროზედ უსაყვედუროდ? შარშანაც ოროლ შაურითგან, თითო შაური დაჰხუთეს, ვიდრე დედაკაცებმა სიღნაღის სამჯავროს არ მიჰმართეს.

თამბაქოს მწარმოებელნი სხვა ფრივაც ბევრს უსამართლობას სჩადიან და გაჭირვებას აყენებენ აქაურებსა. უნდა მოგახსენოთ, რომ თამბაქო გაშენებულია სასმელის წყლების გარეშემო, სადაც როგორც ნახირი, ისე გუთნის ხარი წყლის დასალევად უნდა მოვიდეს. ამ დროს გამოუცვივიან მეჩარდახეები (ასე ეძახიან იმ კაცებს, რომელნიც მუდამ იქ უდგანან თამბაქოს.) და, მიუხედავად იმისა წაახდინა რამე თუ არა, საქონელს იჭერენ და ამწყვდევენ, ვიდრე პატრონი არ დაიხსნის. მერე რას იღებენ წანახდენში? თამბაქოს თვითეულ ფეხს თუმნად აფასებენ თურმე! უარესს დღეს აყენებენ მოწყურებულ ზაფხულის მუშას, თუ თამბაქოებზედ გაიარა. ამებსაც არა ჰჯერდებიან და ხშირად განგებ შეუდით საქონელი თავათ პატრონების მოურავებს.. კარგი იქნებოდა ის მებატონეები, ვისაც ეს მიწები იჯარით აქვთ გაცემული, ან სრულიად გლეხების ნადელების და წყლების მოშორებით უჭრიდნენ ხოლმე, თუ არა და იმდენ ცარიელ მიწას მაინც დააწირვინებდნენ, რომ ან კაცს და ან საქონელს თავისუფალი მისავალ-მოსავალი ჰქონდეს წყალზედ. ან არა და განა ეს გარემოება იმად არა ღირს, რომ ყურადღება მიაქციოს, ვისიც ვალია?

ბაჩანა

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთი თავის ჯარებს ჩააყენებს ბოლგარიაში, თუ არა? იქნება ომი, როგორც ზოგიერთი შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსები ამბობდნენ, თუ არა, როგორც მშვიდობის მოყვარე პოლიტიკოსები ფიქრობენ?

გაზეთი „Московскія Вѣдомости“ იძლევა ამაზედ პასუხსა და ჰფიქრობს, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდება. ამას გაზეთი გარდაწყვეტილად, დარწმუნებით ამბობს და აი რათა:

„ომი იქნება,—ამბობდნენ ინგლისის გაზეთები ამას წინადაო,—ომი უთუოდ იქნება, თუმცა ევროპაში ბევრს არა ჰსურსო“.

„არ იქნება ომიო,—პასუხს აძლევდნენ ამაზე ბერლინიდამ; ავსტრიასა და გერმანიას მტკიცე კავშირი აქვთ ერთმანეთში და ეს კავშირი საიმედო სიმაგრეა, შეურყეველი ზღუდეა მშვიდობიანობისაო.

როგორ და რად მიაჩნიათ ამ ორის სახელმწიფოს მეგობრული განწყობილება მშვიდობიანობის ასეთ დიდ და საიმედო ბურჯად?

ომი არავის უნდაო, — გვიპასუხებს იგივე გაზეთი, და იმათ კი, ვისაც ომი სწადიანთ, ძალი და ღონე არ მოსდევთო. ვინ იცის, როგორ გარდასწყდებოდა შარშან დავა ავღანის საქმის თაობაზე, ან წელს განა ჩაჩუმდებოდა ინგლისი, რომ ავსტრია დასთანხმებოდა და თავის გარდაწყვეტილი სიტყვა ეთქვა?

ასე თუ ისე ავსტრია მაშასადამე ჩუმდება და ხმას არ იღებს. გერმანია?

პატიოსანმა შუამავალმა, საქმის მცოდნე ბისმარკმა ასწონ-დასწონა ბოლგარიის არეულობა და ასე გარდასწყვიტა: „გერმანიას ბოლგარიაში არაფერი საქმე არა აქვსო“, და შორს გადგა.

ასეთია დღეს პოლიტიკის მიმდინარეობა. ვნახოთ, ბოლგარიის საერო კრება, რომელიც გუშინ დაიწყო, რას იტყვის და რა გვარად შესცვლის ამ მიმდინარეობას!...

* * *

რამდენად დაეჯერება, არ ვიცით, და გაზეთ „Одесскій Вѣстникъ“-ის კორრესპონდენტი კი ასე გვიხატავს ბოლგარიის დღევანდელ მდგომარეობას:

მთავრობას ჯარისა და ხალხისა ეშინიან, მოქალაქეთა და აფიცრებს კიდევ მთავრობისაო. თვით პოლიცია პოლიციასვე ეჭვის თვალით უყურებს. ვერც მოქალაქენი და ვერც პოლიციის მსახურნი თითო-თითოდ და უიარაღოდ გარეთ გამოსვლას ვერა ჰბედავენო. აფიცრები ჯგუფ-ჯგუფად ხუთი-ექვსი კაცი ერთად დადიანო. პოლიციის უფროსს ჟანდარმები დაჰყავს თანა, როდესაც ქალაქში დადისო და მოქალაქენი დამბაჩებით და ხანჯლებით არიან შეიარაღებულნიო.

მართლა რომ უბედურებაა, თუ ასეთია ბოლგარიის დღევანდელი მდგომარეობა! ძნელია, როდესაც კაცი თავის მოძმეთა შორის შეთოფ-იარაღებული უნდა დადიოდეს და აქეთ-იქით იყურებოდეს, ხომ არაფერი განსაცდელი არ მომელისო!...

* * *

სკოლა, მისი მოწყობილობა, მისი წესები ერთ ჩვენს უმთავრესს სატკივარს შეადგენს და ჩვენ კი, სამწუხაროდ, ამას ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ გვიხარიან, როდესაც 10—12 წლის ყმაწვილი მთელი დღე წიგნებს უზის, სწავლაში თვალებს იწყალებს; ჩვენ მოგვწონს ასეთი ბეჯითობა ყმაწვილისა, განგებ კიდეც ვაქეზებთ და თავ-მოყვარე ყმაწვილს-კი მოსწონს დედ-მამის ქება და უფრო უმატებს ბეჯითობას.

რა მოსდევს ასეთს ერთგულობას, ასეთს გადაჭარბებულ მეცადინეობას, ამას ჩვენი უმეცრება ხომ ყურადღებას აღარ აქცევს. ყმაწვილი მართლა სწავლას იძენს, თუ მხოლოდ ტვინს იწყალებს და უდროვოდ ჯანს ილევს, ამასა აღარა ვფიქრობთ.

ჩვენ, ჩვენის უმეცრების გამო, ამას არ ვუფიქრდებით, და აი „ბერლინის ბუნების მეცნიერთა და ექიმთა“ კრებაზე პროფესსორს გენინგს რა უთქვამს:

უზომო და მუდმივ ტვინის მუშაობას სკოლაში ის მოსდევსო, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა სისხლ-მოკლებულია, ძარღვებ შესუსტებული, ღონე-მიხდილი, დაუძლურებული. თავის-მოკვლაც, რომელიც დღეს ასეა გავრცელებული მოსწავლე ყმაწვილებ შორის, უზომო ტვინის მუშაობის და ჯანის დაუძლურების, დასუსტების შედეგიაო. უწინ, როდესაც დილით საღამომდე ყმაწვილი სწავლაში თავს არ იკლავდა, ვის გაეგონა ასეთი თავის-მოკვლა.

გარდა უზომო ჯაფისა, ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი ის უგულო, სასტიკი წესებიც არის, რომელსაც დღეს პედაგოგები მისდევენ სკოლაში.

ყმაწვილებს აგრეთვე უდროვოდ ჯანს ულევს სკოლების ცუდი მოწყობილება: მთელ ხუთ-ექვსის საათის განმავლობაში ყმაწვილი ზის უხეიროდ მოწყობილ ხმელ სკამებზე, პატარა ოთახში, დახშულ ჰაერში, მტვერში..

ამ მეცნიერის სიტყვებმა მაინც დააფიქროს ისინი, ვისიც ხელში ყმაწვილების სწავლა-განათლება, მათი ჯანის სიმთელე და მომავალი ბედია!..

რუსეთი

— მოსკოვის ერთს ქუჩაზე ერთი ახალგაზდა 22—24 წლის კარგად ჩაცმული დედა-კაცი უპოვნიათ. როცა პოლიციაში წაუყვანიათ, ამ დედა-კაცს მხოლოდ ის უთქვამს, რომ თავის მოკვლა მინდოდაო, ათ ყუთამდე «სპიჩკა» წყალში გავხსენი და დავლიეო. ბევრი უკითხავთ, გვითხარ ვინა ხარ, სადაური, ან სადა სდგახარო, მაგრამ არ უთქვამს. მოწამლული სამკურნალოში გაუგზავნიათ.

— 13 ოქტომბერს, მოსკოვში, ვიღაც დედა-კაცი რკინის გზის ლიანდაგზე დაწოლილა მატარებლის მოახლოვების დროს. მატარებელს ორივე ფეხები და მარჯვენა ხელი მოუწყვეტია. ეს ქალი სოკოლოვის ცოლი ყოფილა, 55 წლისა.

— ამას წინად მოსკოვში შემდეგი თვით-მკვლელობა მომხდარა: ერთს 60 წლის ვაჭარს ყელი გამოუჭრია მოსკოვის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში. პეტრე დიმიტრის ძე სოლოდოვნიკოვი, რომელსაც თავი მოუკლავს, ძალიან შეძლებული ვაჭარი ყოფილა. ამ ბოლოს დროს სოლოდოვნიკოვს დაუწყვია ჩივილი, რომ ვაჭრობა აღარ არის, ვალი ვალზედ მეტდება, გაკოტრება მომელისო და სხ. 12 ოქტომბერს მისულა მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში და სეფისკვერი მიუტანია. სეფისკვერზე თავის სახელი და გვარი დაუწერია. მღვდლისთვის უთქვამს, ხვალ გარდაცვალებულის მოსახსენიებლად სწირეო. როცა უკითხავთ, რომ გარდაცვალებული ვინ არისო, თავისი სახელი და გვარი დაუწერინებია, წირვა რომ გამოსულა, ერთს ეკკლესიის ყარაულს დაუნახავს, რომ ვიღაც კაცი ეკკლესიის მარცხენა მხარეს პირ-ქვე დამხობილა და აღარა დგება. მისულა ყარაული, უნახავს, რომ მოხუცებული კვდებაო, დაუძახნია სხვა ყარაულებისათვისაც და მომაკვდავი გარეთ გამოუტანიათ. ასე ჰგონებიათ, რომ ეკკლესიაში ლოცვის დროს უცრად გარდაცვლილაო. გარედ გამოტანის დროს უნახავთ, რომ კისერი და ყანყრატო ოთხს ადგას გაჭრილი ჰქონია. სოლოდოვნიკოვს თავი კალმის დანით მოუკლავს. ეს კალმის დანა ეკკლესიაში უპოვნიათ იმ ადგილას, სადაც მოხუცებული წოლილა.

— გროდნოში, გაზ. „Latweecèhu Arwses“ სიტყვით, შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა: ორს ებრაელს, შვილსა და მამას, შეჰყვარებიათ ერთი ებრაელის ქალი. შვილს შეშინებია, რომ გაი თუ ჩემმა მეტოქემ—მამაჩემმა გაიმარჯვოს და ქალი წამართვასო, და ერთს მშვენიერს დღეს თავისი ღვიძლი მამა მოუკლავს. სასამართლოს მამის მკვლელისათვის კატორღაში გაგზავნა გადაუწყვეტია.

უცხოეთი

ბოლგარია. პარიჟიდამ დეპეშით სწერენ გაზ. „Neue Freie Presse“-ს: აქნობამდე დიდთა სახელმწიფოთ ჯერ მოლაპარაკება არა ჰქონიათ პრინც ალექსანდრე ბატტენბერგის ამორჩევის გამო. რუსეთმა ყველა სახელმწიფოთ ცირკულიარები დაურიგა და გამოაცხადა, რომ თუ ვინიცობაა ბოლგარიის საერო კრებამ ხელ-ახლად ამოირჩევს პრინც ბატტენბერგს მთავრადაო, იძულებული ვიქნებით, რომ ბოლგარიაში ჯარები ჩავაყენოთ და ისე ჩამოვაგდოთ მშვიდობიანობაო. სამივე დიდნი სახელმწიფონი ერთმანეთში უკვე მორიგებულან იმის გამო, რომ პრინც ალექსანდრეს მთავრად ამორჩევა აღარ შეიძლებაო. ზოგიერთნი სახელმწიფონი იმ აზრისანი არიან, რომ თუ ალექსანდრე ბატტენბერგი აღარ ამოირჩიეს მთავრად, შეიძლება რუსეთი უფრო დაურბილდეს და მოწყალედ შეჰხედოს ბოლგარიის საქმეებსაო.

— ლონდონიდამ სწერენ გაზ. „National Zeitung“-ს: ბევრი შრომა დასჭირდება ვილიამ უაიტს, რომ ოსმალეთში ინგლისის გავლენა ისევ აღადგინოსო. ამ ჟამად პორტა ეგვიპტის საქმეში საფრანგეთის უფრო-მოჭრილი მონაა და ბოლგარიის საქმეში კი—რუსეთისა. რომ რუსეთის მომხრეა ოსმალეთი ამას ცხადად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ოსმალეთმა უკვე უარ-ჰყო დიდი საერო კრება და განაცხადა, რომ კრების ყოველსავე დადგენილებას კანონიერად არა სცნობს. დიდის საერო კრების ბედ-იღბალი ეხლა ბეწვზედა ჰკიდიაო; ორ-წყალშუა საერო კრება, არ იცის ვინ ამოირჩიოს

ისეთი, რომ თავის გულებისაც იყოს და რუსეთისაც მოეწონოსო. დიდთა სახელმწიფოთაც ვერც ერთი კანდიდატი ვერ დაუსახელებიათ, რადგან ამას გამო რუსეთს ჯერ არ მოელაპარაკებიანო. რუსეთს ნება აქვს, რომ მხოლოდ ის კანდიდატი მიიღოს, რომელიც მოეწონება.

დეპეშა

18 ოქტომბერი

ႱႭႴႨႠ. ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა სამი შტაბ-ოფიცერი დაითხოვა სამსახურიდამ შუმლაში, რადგან ეს სამნი თანაუგრძნობდნენ რუსეთს და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ გენერალ კაულბარსთანაო.

კარაველოვი და რეგენტები სრულიად ვეღარ მორიგდნენ ერთმანერთშიო.

ႪႭႬႣႭႬႨ. გილტაების ტომი ავღანისტანში აჯანყდა ავღანის ემირის წინააღმდეგაო. ის რაზმი ჯარისა, რომელიც თან მისდევდა ჯარის სარდალს და ბარგის ეტლებს სახაზინოს ყუთითურთ, დაამარცხეს მეამბოხეთაო. აჯანყების მიზეზი მეტად დიდის სახელმწიფო გარდასახადის დაწესება არისო.

19 ოქტომბერი

ႮႤႲႤႰႡႳႰႢႨ. დღეს ალექსანდრეს ლიცეი დღესასწაულობდა თავის არსებობის სამოც-და-მეთხუთმეტე წლის დღეს. დღეობაზე დაესწრნენ მომეტებულად უფრო ისინი, ვინც ამ ლიცეიში გაზრდილან. მათ შორის იყვნენ: გარეშე-საქმეთა მინისტრი და სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფი გოლოვინი. ლიცეის ეკკლესიაში გარდაიხადა პარაკლისი ლიცეიში სამღვთო-წერილის მასწავლებელმა. პარაკლისის შემდეგ სტუმრებმა თავი მოიყარეს საქტო დარბაზში, სადაც ოთხის ხელმწიფის სურათები მშვენიერად იყო მორთული მწვანითა და ყვავილებითა. საქტო დარბაზიდამ სტუმრები და შეგირდები ლიცეისა გაემართნენ სასადილო ოთახსკენ. გვარდერგვარდის რაზმის მემუსიკეთა ხორო მარშს უკრავდა ამ დროს. სადილობამდე ლოცვა-გალობით სთქვეს საერთოდ სტუმრებმა და შეგირდებმა. სადილზე არხანგელსკის ხორომ სთქვა პირველად კურს-დასრულებულ მოსწავლეთა საგალობელი, ხოლო სადილს შემდეგ საგალობელი 75 წლის დღეობისა. ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს ყველამ აღტაცებით „ურა“ დაიძახა და საერო საგალობელი სთქვეს. ვინც დაესწრო დღეობას, ყველას დაურიგდა ბარათი კომიტეტისა და ეთხოვა, რომ 22 ოქტომბერს მობრძანდით ფულის გამოსაღებად, რათა ამ ფულით ლიცეის ბაღში აღმართულ იქმნას ძეგლი ალექსანდრე I-ის სახსოვრადაო.

ႱႭႴႨႠ. როგორც ტირნოვოდამ მოვიდა ამბავი, ბენდერევი და გრუევი, ბეის შეტანის შემდეგ, დღეს იქმნებიან განთავისუფლებულნიო.

დღეს, დილის 11 საათზედ, დაიწყო თავისი საქმე ბოლგარიის საერო კრებამ. იმ სხდომაზედ, რომელიც ჰქონდა კრებამდე ბოლგარიის მთავრობას ამ უკანასკნელს დღეებში, მთავრობა ცდილობდა სხვა ნაირად ჩაეგონებინა დეპუტატებისათვის აზრი და განზრახვა რუსეთის პოლიტიკისა ბოლგარიაშიო.

20 ოქტომბერი

ႱႭႴႨႠ. გენერალ კაულბარსის ულტიმატუმის პასუხად, სარეგენტომ ითხოვა, დაესახელედ, რომელს რუსეთის ქვეშევრდომს მოექცნენ უკადრისადაო. პრეფექტებს ებრძანათ, რომ სასტიკი ყურადღება იქონიონ ამ საგანზე და დაიცვან რუსეთის ქვეშევრდომნი და დამნაშავენი უთუოდ გადაასახლებინეთო. კრება, როგორც ფიქრობენ, დიდხანს არ გასტანს და მალე დაიშლებაო.

ႱႠႩႠႪႤႬႣႠႰႭ ႺႬႭႡႠႬႨ

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უ̃ო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ႭႵႲႭႫႡႤႰႨ 31 დღით არის.

21 დღე სამშაბათი ღირს. ეპისკ. ილარიონისა, მოწ. გიორგისა და სხ. კათ. წმ. მოწ. ურსულისა და მის მეგობარ-ქალთა. სომეხ. წმ. თეოდიტოს და სხ. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა საფარ 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება იმამის მუსისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—42. ტფილისში მზე ამოდის 6—34, ჩადის 4—53; მთვარე ამოდის 12—18, ჩადის 10—2 მთვარე 6 დღისაა.

22 დღე ოთხშაბათი. ყაზანის წმ. ღვთის მშობლისა. კათოლ. ღვთის მსახურება წმ. იოსების უწ. ქალწ. მარიამზედ დანიშნვის გამო. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—42. ტფილისში მზე ამოდის 6—35, ჩადის 4—52; მთვარე ამოდის 12—58, ჩადის 10—58.

23 დღე ხუთშაბათი. წმ. მოციქ. იაკობისა, ძმისა უფლისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. იოანნა კაპისტრანოელისა. სომეხ. წმ. ხარითიაანთი: მოწ. არტემ, ქრისტეფორ და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—42. ტფილისში მზე ამოდის 6—36, ჩადის 4—51; მთვარე ამოდის 1—34, ჩადის 11—55.

24 დღე პარასკევი. წმ. მოწ. არეთისა და სხ. კათოლ. წმ. მთავარ-ანგელოზის რაფაელისა. სომეხ. მარხვაა ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—44. ტფილისში მზე ამოდის 6—37, ჩადის 4—50; მთვარე ამოდის 2—6 ჩადის 12—0.

25 დღე შაბათი. წმ. მოწ. მარკიანე, მარტირი და ანასტასიასი. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმ. 12 მოძღვართა: იეროთეოს და სხვათა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—46. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 4—49, მთვარე ამოდის 2—42, ჩადის 12—51.

26 დღე კვირა. დიდ. მოწ. დიმიტრისა. სომეხ. პოვნა წმ. ჯვარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—50. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის, 4—48; მთვარე ამოდის 3—5, ჩადის 1—53.

27 დღე ორშაბათი. წმ. ნესტორისა. კათოლ. დღის ღვთის მსახურება სომეხ. წმ. ანასტასია მღვდ. და სხვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—54. ტფილისში მზე ამოდის 6—40, ჩადის 4—47; მთვარე ამოდის 3—34, ჩადის 2—44.

ႢႠႫႭႱႠႣႤႡႨ ႺႬႭႡႠႬႨ

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გ. რ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	3
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

ႮႤႲႤႰႡႳႰႢႨႱ ႡႨႰႯႠ, 17-Ⴑ ႭႵႲႭႫႡႤႰႱ 1886 Ⴜ.

ႴႠႱႤႡႨ:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანეთიანი ოქრო	—	—	8 მ. 62 კ.
ტამოჟნის კუპონები	—	—	167¼ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მოგება ბილეთი	—	—	239½ მან.
— მეორისა	—	—	222 მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	97 მან.	—
ქუთაისის ბანკისა	—	97 მან.	—

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	ბათუმი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	**ყვირილა**	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	**ხაშური**	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	**გორი**	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	**ტფილისი**	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	**ხაშური**	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	**გორი**	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	**ტფილისი**	8	24	—	—

ႢႠႬႺႾႠႣႤႡႠႬႨ

16 მომავალს ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია საგანგებო კრება წევრთა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა განსახილველად: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრებისა გამო აღარ შეუძლიანთ მართეელობის წევრის თანამდებობის აღსრულება.

(5—2)

ႡႨႡႪႨႭႢႰႠႴႨႳႪႨ ႢႠႬႺႾႠႣႤႡႠ

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ႴႠႱႨ ႤႵႥႱႨ ႸႠႳႰႨ

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავად-აზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ყრმათა საკითხავი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიური დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის.

1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10 წიგნი) ერთად ღირს—ქალაქში 3 მანათი, ქალაქს გარეთ გაგზავნით 3 მან. და ათი შაური. ათი შაური შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს. ადრესი: Тифлисъ. А. С. Гуладзе, Сололаки Фрейлинская, 7.

ႠႾႠႪႨ ႼႨႢႬႨ

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სააღგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—22)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ႵႠႰႧႳႪႨ ႵႰႨႱႲႭႫႠႲႨႠ“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდა პირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ႨႪႨႠ ႽႠႥႽႠႥႠႻႤ